სამართლებრივი დასკვნა

„ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერიის დებულების დამტკიცების შესახებ“ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 21 დეკემბრის N31 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ - დადგენილების პროექტის შესახებ

დადგენილების პროექტი შესაბამისობაშია საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 24-ე მუხლის 1-ლი პუნქტის „გ.ბ“ ქვეპუნქტთან, რომლის თანახმადაც მუნიციპალიტეტის საკრებულოს უფლებამოსილებაა მერიის დებულების დამტკიცება. ამავე კანონის 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა.ბ“ ქვეპუნქტის საფუძველზე მერის უფლებამოსილებას განეკუთვნება საკრებულოსათვის მერიის დებულების დასამტკიცებლად წარდგენა.

დადგენილების პროექტი შესაბამისობაშია „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორაგნული კანონის მე-20 მუხლის მე–4 პუნქტთან, რომლის თანახმადაც ნორმატიულ აქტში ცვლილების ან/და დამატების შეტანა ხდება იმავე სახის ნორმატიული აქტით. იგი იმ ნორმატიული აქტის განუყოფელი ნაწილია, რომელშიც შეტანილი იქნა ცვლილება.

ადმინისტრაციული სამსახურის იურიდიული
განყოფილების უფროსი: ბექა შენგელია